



გასულ კვირაში ქ. თბილისში, ნატოს სამეკავშირეო ოფისში ნატოს საზღვრული სემინარი გაიმართა მედიისათვის, რომელშიც გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. სემინარზე ჟურნალისტების წინაშე წარსდგნენ სახელმწიფო მინისტრი საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ

სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძე, ბულგარეთის ელჩი საქართველოში დესისლავა ივანოვა-კოზლოვა; ნატოს სახალხო დიპლომატიის ექსპერტები მაგნუს ეიოლფსონი, დესპინა აფენთული, ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე როზალია პუგლისი, პოლკოვნიკები ტორსტენ კოელერი, გიორგი მეშველიანი და ა.შ. გაიმართა ვიდეო-ზიდი ბრიუსელთან. ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ კითხვები დაესვათ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაისთან.

ორიოდე სიტყვით ნატოს შიშის შესახებ:

1949 წლის 4 აპრილს, ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და დებატების შემდეგ, ხელი მოეწერა ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, დანია, პორტუგალია, ისლანდია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ნორვეგია). ხელშეკრულების საფუძველად ცნობილ მე-5 მუხლში ახალი მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ „შეიარაღებული თავდასხმა ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე მიიწვევს თავდასხმად ყველას წინააღმდეგ“ და ამგვარი თავდასხმის შემთხვევაში თითოეული მოკავშირე საპასუხოდ „განახ-

ორციელებს ყველა საჭირო ჯიხვი, მათ შორის შეიარაღებული ძალების გამოყენებას.“ აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლები შეიცავდა მნიშვნელოვან მიზნებს, რომლებიც არ იყო უშუალოდ დაკავშირებული თავდასხმის საფრთხეებთან. მე-3 მუხლი საფუძველს უყრიდა მოკავშირეთა თანამშრომლობას საბრძოლო მზადყოფნის სფეროში, ხოლო მე-2 მუხლი უქმნიდა მათ გარკვეულ სივრცეს არასამხედრო თანამშრომლობისათვის.

ნატო თანდათან ფართოვდებოდა. 1952 წელს საბერძნეთი და თურქეთი მიიღეს სამხედრო ალიანსში; 1955 წელს - გერმანია;

ნატოს გაფართოების შემდგომი ეტაპი სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოხდა. 1999 წელს ნატოს წევრები გახდნენ ყოფილი ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნები: პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი; 2004 წლის ნატოს სამიტზე ბალტიისპირეთის ქვეყნები ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია გახდნენ ნატოს სრულუფლებიანი წევრები; 2009 წლის სამიტზე ნატოში გაწევრიანდნენ ალბანეთი, ხორვატია, ხოლო უკანასკნელ სამიტზე მათ რიცხვს მონტენეგრო შეემატა.

ამის გარდა, ნატოს ჰყავს,



ქ ღ ი რ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 28 (10222, 17 ივლისი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი).

გუბერნიის ახიური ფაროსანა საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობასა და მეთხილეობის დარგში შემხილ ვითარებაზე იმსჯელოს



ალიონი. 12 ივლისს გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში იმსჯელოს ახიური ფაროსანის საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობასა და მეთხილეობის დარგში შექმნილ ვითარებაზე. სურსათის ეროვნული სააგენტო ახიური ფაროსანის საწინააღმდეგო ღონისძიებებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) მხარდაჭერით ატარებს.

№4 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

ქალაქ ოზურგეთში ნიკოლაძის ქუჩაზე №4 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაიწყო. მიმდინარე სამუშაო პროცესი ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ, ვიცე-მერმა ალექსანდრე ბურჭულაძემ და შესაბამისი სამსახურის უფროსებმა მონაწილეობა მიიღეს. ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს „შანსი 2010“ აწარმოებს, რომლის დასრულების შემდეგაც აღნიშნული ბაღი თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს და უახლესი ინვენტარით აღიჭურვება.

თხე საბავშვო ბაღში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. სამუშაოები დაიწყო, ქალაქში მხოლოდ ეს ბაღი არ იყო გარემონტებული, რის გამოც პატარებსა და პედაგოგებს შეუსაბამო გარემოში უწევდათ ყოფნა. მოსარული, ვარაუდობს, რომ მოვიძიეთ თანხები და აღნიშნული ბაღის გარემონტება დაიწყეთ. შენობის სრულ რეაბილიტაციასთან ერთად, ვგეგმავთ ეზოს კეთილმოწყობას, რომლის დასრულების შემდეგ, აღსაზრდელები კომფორტულ და სტანდარტების შესაბამის გარემოში იქნებიან.



მეორე საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება. რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი 120 ბავშვზე იქნება გათვლილი.

შეკვეთილი დასუფთავების აქცია ჩატარდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თანამშრომლებმა კურორტ შეკვეთილში სანაპირო ზოლი ნარჩენებისგან გაწმინდეს. აქციაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, მერაბ ჭანუყვაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან, დავით დარჩიასთან ერთად გამგებლისა და მისი დაქვემდებარებული სტრუქტურების 400-მდე თანამშრომელი ჩაერთო. აქციის მონაწილეებმა შეკვეთილის სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორიებიც დაასუფთავეს. სამუშაოებში ოზურგეთის „მუნიციპალური მომსახურების ცენტრის“ ტექნიკა და მოსამსახურე პერსონალი

ჩაერთო. მსგავსი აქცია მანამდე დაბა ურეკის ტერიტორიაზე მოეწყო, რომლის პარალელურად დასუფთავების აქციები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 28 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა. „ჩვენს თანამშრომლებთან ერთად კიდევ ერთი მასშტაბური დასუფთავების აქცია მოგაწყვეთ. დასუფთავებთ წინასწარ შერჩეულ ადგილებს, სადაც არსებობს დაბინძურების ფაქტები. აქცია ერთ-ერთად არ არის. ყოველთვიურად შეირჩევა ადგილები, რათა მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასუფთავების აქციებში უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს. კამპანიის მიზანია



ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სუფთა და ჯანმრთელი საცხოვრებელი გარემოს შექმნა. მოსახლეობის გაერმოსდაცვითი და სოცი-

სოსო ერქომიანი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრის პრემიად გადაიყვანეს

სახელმწიფო რწმუნებულის, გურიის გუბერნატორის მოადგილე, სოსო ერქომიანი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრის იოსებ ალავედის მრჩველად გადაიყვანეს. — დიან, მინისტრის მრჩველის პოზიციაზე ვარ — დაგვიდასტურა სოსო ერქომიანი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრის იოსებ

სოსო ერქომიანი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრის პრემიად გადაიყვანეს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით -12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის ინ-ახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოქმებათი აციონზე
«ალიონით»

გურიის ცოფის დაავადებასთან დაკავშირებით რეგიონული შეხვედრა გაიმართა

სურსათის ეროვნული სააგენტო ცოფის გავრცელების შემცირებისა და კონტროლის მიზნით სამუშაო შეხვედრებს მართავს. აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრების, გურიის სამხარეო ადმინისტრაციისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ცოფის დაავადებასთან დაკავშირებით რეგიონული შეხვედრა გაიმართა, ამის შესახებ ინფორმაციას გურიის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ავრცელებს.

სამუშაო შეხვედრაზე გურიის რეგიონში ცოფის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ღონისძიებები განიხილეს და იმსჯელეს სამომავლო გეგმებზე.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ, ორი წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წელს გურიაში, ცოფის არც ერთი დადასტურებული შემთხვევა არ გამოვლენილა ადამიანში.

შეხვედრას დაესწრნენ გურიის გუბერნატორი ვია სალუქვაძე, გუბერნატორის მოადგილეები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, სურსათის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლები.



ოზურგეთში ცნობილი ქორეოგრაფისა და ლობჯინის, საქართველოს სხალსო არტისტის ბიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის VIII საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი დასრულდა



მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების, მეორე ეტაპი



სოფელ ბოხვაურში 23 აპრილს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების მეორე ეტაპის ფარგლებში დაზარალებულ მოსახლეობას გადაეცათ მასალა. ამ ეტაპზე დარიგდა მხოლოდ ხეობა (ფიცარი, ლარტყა, კოჭი). რამდენიმე დღეში კი დაიწყება თუნუქის მიწოდებაც (თუნუქი, კეხი).

შეგახსენებთ, რომ ჯამში აღნიშნული მასალა, დაზიანების და სიმძიმის გათვალისწინებით სულ 27 ოჯახს გადაეცემა.

ოზურგეთში სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის საზაფხულო სკოლა გაიხსნა



განმანათლებლო პროგრამებს სოციალურად დაუცველი ბავშვები გაივლიან.

პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით ხორციელდება. საზაფხულო ბანაკის გახსნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის ხელმძღვანელი, მარინა ჯაფარიძე დაესწრნენ.

ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ბაზაზე საზაფხულო ბანაკი გაიხსნა. საზაფხულო ბანაკი „ათინათში“ 1 თვის განმავლობაში კულტურულ და სა-

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა და უცხოურმა ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის VIII საერთაშორისო კონკურს-ფესტივალის დასკვნითი ნაწილი დაბა ურეკში გაიმართა.

ურეკის ბულვარში მოეწყო ფესტივალში მონაწილე ანსამბლების საზეიმო მსვლელობა. ფესტივალი გალა-კონცერტით და მონაწილე ანსამბლების დაჯილდოებით დასრულდა. ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ

ანსამბლებს სპეციალური დიპლომები და სიგელები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ გადასცა.

ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის, საზოგადოება „არტ-გურიას“ და ა(ა)იპ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა.

„ცოცხალი წიგნები“ სოფელ შამოქვედში



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შამოქვედის პარკში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში, ქართველი პოეტები და მწერლები შეიკრიბნენ.

შემოქმედს, ამჯერად ეთერ თათარაძე, დავით რობაქიძე, ირაკლი შამათავა, ვასო გულუური, ირმა ბერიძე, გაგა ნახუცროშვილი, ლუკა ბაქანიძე და ნატო ინგოროყვა სტუმრობდნენ.

„სამი წელია ეს პროექტი ხორციელდება. არაერთი პოეტი თუ მწერალი შევახვედრეთ მკითხველს. ეს საჭიროა, რადგან მკითხველი

უფრო ახლოს უნდა იცნობდეს თავის საყვარელ მწერალს თუ პოეტს,“ - აღნიშნა პროექტის ავტორმა ქეთევან ღუმბაძემ.

სტუმრებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე შეხვდა.

ქეთევან ღუმბაძემ შემოქმედის ბიბლიოთეკას საჩუქრად ახალი წიგნები გადასცა.

შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურის და ა. (ა) ი.პ. სამუშეუმო საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით მოეწყო.

აბესაძეების ტრიუმფი

ოთარი ჩემპიონია, რომა - მეორე პრიზიორი



4-8 ივლისს ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კრივის ჯაბუკთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა. 40კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **ოთარ აბესაძე**, 50კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა **რომა აბესაძემ** (მწვრთნელი იულო საჯაია).

დავით ბელინიას სახელობის სამართაშორისო ტურნირზე

8-10 ივლისს ქ. ბათუმში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის დავით ბელინიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჯაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის და საქართველოს 900-მდე სპორტსმენი.

აღნიშნულ ღონისძიებაში წარმატებით იასპარეზეს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდის აღსაზრდელებმა.

კახა აბაშიძის ჯგუფიდან 29 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **ლუკა ჯავახაძე**, 54 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა **ნიკა შიუკაშვილმა**, ხოლო 29 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა



ლუკა ფიფია, ირაკლი და ზურაბ ზურაბიანების ჯგუფიდან 85 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა **ცოტნე ცინცაძემ**. ასევე მესამე ადგილზე გავიდა

ნენ გურამ მაჭარაშვილის აღსაზრდელები **დავით შავაძე** და **დათო ურუშაძე**, შესაბამისად 54 და 100 კგ წონით ით კატეგორიებში.

იური ლომაძის ბრინჯაო პარტიზიას სამართაშორისო ტურნირზე



9-12 ივნისს ქ. თბილისში გაიმართა ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიო სამგზის ჩემპიონის გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც თავისი სიძლიერით მსოფლიოს მცირე ჩემპიონატსაც კი უტოლდება. ტურნირში მონაწილეობდნენ 17 ქვეყნის ნაკრები გუნდები.

შთამბეჭდავად იასპარეზა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელმა **იური ლომაძემ**, რომელმაც 71კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა (მწვრთნელები ირაკლი და ზურაბ ზურაბიანები).

ოზურგეთელთა მეორე და მესამე ადგილები კაკალაძის სამართაშორისო ტურნირზე

16-18 ივნისს ქ. ქობულეთში ჩატარდა ევროპის ვიცე-ჩემპიონის კობა კაკალაძის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2002-2004 წლებში დაბადებულთა

შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში, სხვებთან ერთად, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელებმაც იასპარეზეს. **გორა**

ირემამემ 42კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 47კგ წონით კატეგორიაში მესამე იყო **კახა ძირკვაძე** (მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი).

ოზურგეთელი პარატიპების წარმატება ბათუმში

4 ივნისს ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კარატეში „ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის თასის გათამაშება საერთაშორისო ფესტივალზე აღმოსავლურ ორთაბრძოლებში“, რომელშიც მონაწილეობდა 6 ქვეყნის 400-ზე მეტი სპორტსმენი.

აღნიშნული ტურნირი წარმატებული გამოდგა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის „შოტოკან კარატე-დო“-ს გუნდისთვის, რომელმაც მათ ჯამში 4 მედალი მოიპოვა.

8-9 წლის ასაკის მონაწილეთა შორის (+22 კგ) ჩემპიონი გახდა **თორნიკე პოლოსიანი**.

6-7 წლის ასაკის მონაწილეთა შორის (+22კგ) **ლუკა ვანაძე** მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. 14-15 წლის ასაკის მონაწილეთა შორის (-



60კგ) მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა **ნიკა დარჩია**, **გიორგი მამინაშვილი** კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. გუნდი მაღლობას უხდის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერ-

თიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ღირეჭტორს გორა კვანტალიანს მხარდაჭერისათვის.

ულამაზესი 300-კაცანი
ღარბაზი „Argo“ გიწკვთ:
ქორწილები 6 ლარიდან
514 03 80 03
558 56 24 05
ლიბერთი ბანკის გვერდით

ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ ბთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას ავშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი უმსატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადასაწილებია მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს უიდა 0% განვადება. უპრემიუმენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.
ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +20+31 17 ივლისი ორშაბათი	მზე, ღრუბელი +19+28 18 ივლისი სამშაბათი	ღრუბელი 19+24 19 ივლისი ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი 17+24 20 ივლისი ხუთშაბათი	მზე, ღრუბელი +17+22 21 ივლისი პარასკევი	წვიმა +18+23 22 ივლისი შაბათი	წვიმა +18+22 23 ივლისი კვირა
---	--	--------------------------------------	---	--	----------------------------------	---------------------------------